ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი # 8

ქ. ონი 29. 08. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე სერგო ლობჯანიძე.

სხდომას 12 წევრიდან ესწრებოდა 10 წევრი: სერგო ლობჯანიძე, ვასილ მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ლევან ორდინიძე, მამუკა ყავლაშვილი, გივი მეტრეველი, რევაზ საბანაძე, შალვა კახეთელიძე, შუქურა ჯაფარიძე, თამაზ მეტრეველი.

არ ესწრებოდნენ : ზურაბ ბენდიანიშვილი, ნოდარ ბურდილაძე.

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

2. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის II კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

3. 2023 წელს ონის მუნიციპალიტეტის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით განსახორციელებელი პროექტების ცვლილებების შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი საკითხის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის II კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

ს. ლობჯანიძემ სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის II კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

კომისიამ მხარი დაუჭირა საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

მოისმინეს: 3. 2023 წელს ონის მუნიციპალიტეტის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით განსახორციელებელი პროექტების ცვლილებების შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

ს. ლობჯანიძემ სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი 2023 წელს ონის მუნიციპალიტეტის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით განსახორციელებელი პროექტების ცვლილებების შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სერგო ლობჯანიძე

კომისიის თავმჯდომარე